გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ა ნ გ ა რ ი შ ი

2017-2018 სასწავლო წელს სტუდენტთა გამოკითხვის შესახებ

2018 წლის საგაზაფხულო სემესტრში ჩატარდა სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა. კვლევის მიზანი იყო მიმდინარე სასწავლო წელს ლექტორის მიერ გაწეული მუშაობისა და ზოგადად, სასწავლო პროცესის შეფასება, ხოლო ამოცანას წარმოადგენდა შემდეგი საკითხების შესწავლა: კომუნიკაციის ხარისხი პედაგოგსა და სტუდენტს შორის; სტუდენტთა შეფასებების ობიექტურობა და გამჭვირვალობა; სასწავლო მასალით უზრუნველყოფის ხარისხი; მოტივაცია და უკუგება; სასწავლო დატვირთვის ოპტიმალურობა; უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა.

კითხვარში გამოყენებულ იქნა 5 ქულიანი შეფასების სისტემა:

ა) ძალიან კარგი – 5 ქულა
ბ) კარგი – 4,0-4,9 ქულა
გ) დამაკმაყოფილებელი – 3,0-3,9 ქულა
დ) საკმარისი - 2,0-2,9 ქულა
დ) უარყოფითი – 0-1,9 ქულა.

გამოკითხვა ჩატარდა შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

ა) კომუნიკაცია:

- დისციპლინის ლექტორი გამოირჩევა პროფესიონალიზმით, საინტერესოდ და გასაგებად ხსნის სასწავლო მასალას;
- სტუდენტს აქვს მეცადინეობაზე შეკითხვის დასმისა და დისკუსიაში მონაწილეობის მიღების საკმარისი შესაძლებლობა;
- სტუდენტთან ურთიერთობაში ლექტორი კეთილგანწყობილი და კორექტულია.

ბ) გამოცდები და შეფასებები:

- შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა / სტუდენტისთვის ცნობილია კონკრეტული ქულის მინიჭების მექანიზმი;
- შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგები დადგენილ ვადებში თავსდება ნექსუსზე და ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის;
- პროფესორის შეფასებები, შენიშვნები და კომენტარები არის ფასეული / ობიექტური.

გ) სასწავლო მასალით უზრუნველყოფა:

- სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია დისციპლინის/სასწავლო კურსის სილაბუსი (შინაარსი, მიზნები, შედეგები, სასწავლო თემატიკა);
- ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია დისციპლინის შესაბამისი სასწავლო რესურსი (სახელმძღვანელო, წიგნი, პერიოდიკა, ციფრული მასალა, აუდიო-ვიდეო მასალა);
- Nexus-ზე დროულად არის განთავსებული და ხელმისაწვდომია დისციპლინის შესაბამისი სასწავლო მასალა/დავალება.

დ) მოტივაცია და უკუგება:

- პროფესორი, მეცადინეობის პროცესში, ხელს უწყობს სტუდენტს იფიქროს და იაზროვნოს დამოუკიდებლად /კრიტიკულად;
- პროფესორი დაინტერესებულია სტუდენტის ცოდნის პროგრესით;
- სასწავლო კურსის მოსმენის შემდეგ მივიღე ახალი ცოდნა.

ე) სასწავლო დატვირთვა, თემატიკა, სწავლება-სწავლის მეთოდები:

- სასწავლო დატვირთვა (დავალებები რაოდენობისა და სირთულის მიხედვით) შეესაბამება სტუდენტის შესაძლებლობებს;
- პროფესორი თითოეული თემის ახსნას / გამოკითხვას საკმარის დროს უთმობს;
- სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

ვ) კვირის განმავლობაში სალექციო მასალის დამუშავებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი სამუშაოსათვის დახარჯული დრო.

რესპოდენტებს, ასევე, ჰქონდათ შესაძლებლობა გაეკეთებინათ კომენტარი უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 265-მა სტუდენტმა, რაც საერთო რაოდენობის 18,8%-ს შეადგენს. მათ შორის:

- ბიზნესისა და მართვის სკოლიდან: 78 სტუდენტი (სკოლის სტუდენტთა რაოდენობის 17,8%)
- მედიცინის სკოლიდან: 35 სტუდენტი (სკოლის სტუდენტთა რაოდენობის 18.3%)
- საჯარო მმართველობის სკოლიდან: 37 სტუდენტი (სკოლის სტუდენტთა რაოდენობის 19,3%)
- ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლიდან: 43 სტუდენტი (სკოლის სტუდენტთა რაოდენობის 21,2%)
- სამართლის სკოლიდან: 72 სტუდენტი (სკოლის სტუდენტთა რაოდენობის 18,5%).

ნახაზი 1. რესპოდენტთა რაოდენობა სკოლების მიხედვით.



მონაცემების დამუშავების შემდეგ, ანალიზი გაკეთდა შემდეგი მიმართულებებით:

- ლექტორთა საგანმანათლებლო მუშაობისა და სასწავლო პროცესის შემაჯამებელი შეფასებები
- შეფასებები სტუდენტთა კომენტარებისა და რეკომენდაციების მიხედვით.

ლექტორთა საგანმანათლებლო მუშაობისა და სასწავლო პროცესის შემაჯამებელი შეფასებები

აღსანიშნავია, რომ წინა წლების ანალოგიური გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, საანგარიშო პერიოდში, ჯამური მაჩვენებლების მიხედვით, უარყოფითი შეფასებები (<3.0) არ მიუღია არც ერთ ლექტორს.

კვლავ მაღალია მონაცემები შემდეგი პარამეტრის მიხედვით:

- ლექტორი გამოირჩევა პროფესიონალიზმით, თითოეული თემის ახსნას/გამოკითხვას საკმარის დროს უთმობს.
- შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა / სტუდენტისთვის ცნობილია კონკრეტული ქულის მინიჭების მექანიზმი
- სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია დისციპლინის/სასწავლო კურსის სილაბუსი
- სასწავლო კურსის მოსმენის შემდეგ ახალი ცოდნის მიღება

წინა წლის მონაცემებთან შედარებით, უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა ნექსუსზე შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების დადგენილ ვადაში განთავსების მაჩვენებელი, თუმცა სტუდენტთა კომენტარებიდან ჩანს, რომ ცალკეულ პროგრამებზე კვლავ აღინიშნება გარკვეული ხარვეზები.

შეფასებები სტუდენტთა კომენტარების მიხედვით

სტუდენტთა მხრიდან საკმაოდ დადებითი გამოხმაურებები მოჰყვა გამოკითხვის მსგავს ფორმებს. ისინი იმედოვნებენ, რომ ანალოგიური კვლევები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სწავლა-სწავლების პროცესს, ხელს შეუწყობს მათ განავითარონ ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარები.

ქვემოთ მოყვანილია დამატებით კითხვებზე ცალკეული სტუდენტის პასუხები და კომენტარები:

- **თქვენი აზრით, ითვალისწინებს თუ არა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სტუდენტთა შენიშვნებს / რეკომენდაციებს**



ძლიერი მხარეები:

- უნივერსიტეტში მომუშავე ხალხი, ლექტორთა პროფესიონალიზმი, ყურადღებიანობა, უნივერსიტეტის გარემო
- ძლიერ მხარეებში პირველ რიგში მახსენდება პროფესიონალი ლექტორების გუნდი და დიდი პატივია, როცა მათი სტუდენტი ხარ
- საუკეთესო პირობები, სწავლების კარგი ხარისხი
- თანამედროვე სწავლება, თანამედროვე კორპუსი
- მეგობრულები, ყველა მხრივ განათლებულები და ძლიერი ლექტორები თითოეული თავის საგანში.
- არის სისუფთავე შენობაში,
- ამ უნივერსიტეტში შესაძლებლობა მომეცა თავი გამომევლინა და მოტივაცია შემექმნა რომ კარგად მესწავლა
- სტუდენტების მოტივაცია, გაცვლითი პროგრამები, აქტივობები, პროექტები
- ინფრასტრუქტურა რაც ძალიან დიდ როლს თამაშობს აბიტურიენტების მოსაზიდათ
- ჰუმანიზმი, რომლითაც გამოირჩევა უნივერსიტეტის ყველა ის თანამშრომელი, რომელთანაც დღემდე მქონია შეხება.
- სტუდენტზე ორიენტირებული და ინოვაციური სწავლება, საინტერესო შეხვედრები

სუსტი მხარეები:

- სწავლის ხარისხი
- სასურველია შეიქმნას ნექსუსის მობილური აპლიკაცია
- ხელშეკრულებები მთლიანად უნივერსიტეტის ინტერესებზეა დაფუძნებული და არსადაა გათვალისწინებული სოციალური მდგომარეობა ბავშვების...
- რა გახდა ფისქოლოგიის სამაგისტროს დამატება ან სხვადასხვა შემეცნებითი პროგრამები ფსიქოლოგთათვის
- არასაკმარისი მოტივაცია სტუდენტისთვის. მეტი პრაქტიკა. მეტი კვლევითი საქმიანობები. კონფერენციებში თითქმის არ ვართ ჩრთული
- ბუფეტი. არ არის ძველ კორპუსში შესაბამისი პირობები.
- რა აზრი აქვს ნექსუსის არსებობას, ზოგიერთი ნიშნები დაგვიანებით შედის
- ადგილმდებარეობა. საშინელებაა ამსიშორეზე სიარული დილის საათებში ლექციაზე. კიდევ ერთი რამ, მიეცით სტუდენტს უფლება აირჩიოს ნებისმიერ საგანში ლექტორი. იყოს საგანზე რამოდენიმე ლექტორის კაანდიდატურა და მიეცეს სტუდენტს საშუალება აირჩიოს სასურველი. განსაკუთრებით სავალდებულო საგნებზეა ამის პრობლემა.
- არანორმალურად დიდი თეორიული მასალა, რომლის ათვისება დისციპლინებისათვის განკუთვნილ სემესტრულ პერიოდში არის საკმაოდ რთული.
- სტიპენდიების არ არსებობა.

რეკომენდაციები:

- მეტი სიმკაცრე სწავლა-სწავლების მიმართ
- უნივერსიტეტი მიმზიდველი რომ გახდეს, პირველ რიგში, უნდა მოწესრიგდეს გადასახადის საკითხი. ვინაიდან უამრავ ნიჭიერ სტუდენტს უწევს აკადემიურის აღება და სამუშაოს ძებნა სწავლის ფულის დასაფარად.
- გაზარდეთ სწავლის ხარისხი კარგი სტუდენტებით... უფრო მეტად შევეცადოთ იმ კარგებს, ვინც გვყავს მოტივაცია არ გავუნულოთ... პირველი კურსიდანვე მივაჩვიოთ რომ ადვილად ვერაფერს მიიღებენ, თორემ მერე ის კარგიც გაზარმაცდება
- ყურადღება მიექცეს ძველ კორპუს.
- დასაქმების მაჩვენებლის გაზრდა, არა პროცენტულად, არამედ საქმით. ჩემი აზრით, ყველა სტუდენტს უნდა ჰქონეს იმის შესაძლებლობა, რომ 4 წლის განმავლობაში ყოველ წელს გაიაროს სტაჟირება მაინც

უნივერსიტეტის პარტნიორ კომპანიებში. მეტი პრაქტიკაა საჭირო. დღესდღეობით კონკურენტულ გარემოში ამდენი თერორია უსარგებლოა. საქმე ლაპარაკის ნაცვლად!

- კარგი იქნება ნექსუსს თუ დაემატება ონლაინ ჩათი, რაც ნებისმიერ დროს კომუნიკაციის საშუალებას მოგვცემს
- გამოასწორეთ ნექსუსი დროულად შეიტანონ მასალა და ნიშნები
- ხელი შეუწყონ წარჩინებული სტუდენტების დასაქმებას.
- საგამოცდო ფურცელი უნდა იყოს შტრიხკოდით და არ უნდა ჩანდეს სახელი და გვარი.
- უფრო მეტი გაცვლითი პროგრამა
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების მეტი შესაძლებლობის არსებობა, იმიტირებული პროცესების სახით.
- ვფიქრობ პრაქტიკაზე უფრო მეტად ორიენტირება იქნება „ოქროს“ შესაძლებლობა სტუდენტებისათვის თეორიული მასალის უფრო მარტივად შესწავლოს მიზნით. ამასთანავე, მოგეხსენებათ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს იურიდიული პრაქტიკის მრავალფეროვნებას.
- უმჯობესი იქნება ფინალური გამოცდების დრო 2 საათის ნაცვლად იყოს 3 საათი, ვინაიდან პირადად მე დრო მყოფნის
- უნივერსიტეტმა უფრო ნათლად და ყურადღებით უნდა შეარჩიოს პირი რომლის მოწვევასაც აპირებს ლექტორად, რამეთუ სხვაგვარად ეს საფრთხეს უქმნის უნივერსიტეტის რეპუტაციას ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე.
- მეტნაკლებად ხდება სტუდენტების აზრის გაზიარება და უნდა მოხდეს სრულად გაზიარება, რაც იქნება დასაბუთებული და ადეკვატური, საგამოცდო სისტემის გამკაცრება, ნექსუსზე ქულების დროულად ასახვა (ზოგი დისციპლინის ქულა ფინალური გამოცდის შემდეგ იდება საერთოდ)

ზოგადი კომენტარი:

- სტუდენტების მეტად ჩართულობა და დაინტერესება სხვადასხვა საინფორმაციო საკითხებში
- მინდოდა რობაქიძეში სწავლა როცა გავიგე თუ ვინ იქნებოდნენ ჩემი ლექტორები ამ ნაწილით ახლაც კმაყოფილივარ
- მომწონს ჩემი გაპრანჭული უნივერსიტეტი,მეამაყება პროფესიონალი და უნიჭიერესი ლექტორების გამო... მეტი ახალგაზრდა ლექტორი,უკვე გამოცდილ ლექტორებთნ ერთად ცხადია.... წარმატებას გისურვებთ და საამაყო სტუდენტებს!!!
- უნივერსიტერს შევაფასებდი დადებითად.. მაგრამ საჭიროა მუდმივი პროგრესი.. რაც არ შეიმჩნევა
- უსაზღვროდ კმაყოფილი და შეყვარებული ვარ ამ უნივერსიტეტზე და ჩემთვის ძალიან დიდი პატივია მქონდეს შეხება ასეთ პროფესორებთან. უნივერსიტეტში ერთწლიანმა სწავლამ მომცა ძალიან ბევრი რამ თვითგანვითარებისა და წინსვლისათვის, ამიტომ ძალიან დიდ მადლობას ვუხდო ამისთვის ჩემს საყვარელ ლექტორებს და გამოვხატავ პატივისცემას დეკანატის მიმართ. სახელებზე არ დავკონკრეტდები. გმადლობთ ყურადღებისთვის.
- ერთ-ერთი გამორჩეული და სამომავლო პერსპექტივით ნომერი პირველი უნუვერსიტეტი კავკასიის მასშტაბით და არამარტო.
- საბოლოო ჯამში უნივერსიტეტი დღევანდელ საქართველოში საუკეთესოა.

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

გამოკითხვის შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციას და სასწავლო რესურსის მდგომარეობას სტუდენტები დადებითად აფასებენ, მაგრამ იკვეთება გარკვეული არადამაკმაყოფილებელი შფასებები, რომლის გაუმჯობესების რეზერვი უნივერსიტეტს გააჩნია. კერძოდ, სილაბუსები საჭიროებს დახვეწას, სასწავლო რესურსის განახლებას, ლექტორთა გარკვეულ ნაწილს დროულად არ შეაქვთ შეფასებები ნექსუსში.

დავალებები, რაოდენობისა და სირთულის მიხედვით, ზოგჯერ სცილდება სტუდენტთა შესაძლებლობებს. სტუდენტები დიდ დროს ანდომებენ თეორიული მასალის შესწავლას.

ბიბლიოთეკაში არსებული სახელმძღვანელობი და სხვა სასწავლო რესურსები საკმარისია სტუდენტთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, თუმცა სილაბუსებში გასათვალისწინებელია თანამედროვე ლიტერატურის დამატება.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთი და იგივე საკითხის ირგვლივ, სტუდენტთა ერთი ნაწილი გამოთქვამს ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურ დამოკიდებულებას, მეორე ნაწილი – ნეგატიურს, რაც იმის მანიშნებელია, რომ შეფასებები, მეტწილად, სუბიექტურია.

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი

1. ნექსუსის ადმინისტრატორმა/პროგრამისტმა განიხილოს ნექსუსის მობილური აპლიკაციის შემუშავებისა და ონლაინ ჩატის დამატების შესაძლებლობა.
2. საჭიროა ჩატარდეს პროფესორ-მასწავლებელთა ტრენინგი ნექსუსის წარმოებისა და კერძოდ, შეფასებების ნექსუსზე ასახვის შესახებ.
3. სკოლის დეკანატებმა მოიძიონ ისეთი პრაქტიკის/სტაჟირების ობიექტები, სადაც სტუდენტებს ექნებათ რეალური შესაძლებლობა განახორციელონ შესაბამისი აქტივობა.
4. პროგრამის ხელმძღვანელებმა, განაახლონ სილაბუსში მოცემული სავალდებულო ლიტერატურა.
5. შემუშავდეს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების წესი, სადაც გათვალისწინებული იქნება დაშიფრული საგამოცდო ფურცელი/სტუდენტის ანონიმურობა.
6. შემუშავდეს ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა.
7. იურიდიულმა სამსახურმა, სტუდენტთა მოთხოვნების გათვალისწინებით, შეიმუშავოს ხელშეკრულების განახლებული პირობები.
8. შემუშავდეს მსგავსი გამოკითხვის ჩატარების ელექტრონული ფორმა (ნექსუსზე).
9. დადგინდეს მაღალი შეფასების მქონე პედაგოგთა რეიტინგი და შემუშავდეს მათი წახალისების ფორმები.